# სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები STI - PCR (დიდი პანელი)

მრჩეველი
სამედიცინო ცენტრი
ლიმბახის ჯგუფი

## მასალა: ცერვიკალური ნაცხი

კონტენერი: სატრანსპორტო მედიუმი - ENat Transport tube, LMS-Swab Amies.



## მასალა: დილის პირველი შარდი

კონტეინერი: შარდის სტერილური კონტეინერი



## ნაცხის აღების წესი:

***მასალის აღებამდე ნეიტრალური ჩხირის საშუალებით საშვილოსნოს ყელის ზედაპირიდან ფრთხილად მოაცილეთ ზედმეტი ლორწო (ეს ჩხირი გადააგდეთ)***

- მოახდინეთ კონტეინერზე მარკირება წინასწარ;
- ამოიღეთ მასალის ასაღები ჩხირი კონტეინერიდან;
- მოათავსეთ ჩხირი ენდოცერვიქსში და წრიული მოძრაობით აიღეთ ნაცხი;
- მოათავსეთ ჩხირი კონტეინერში;
- გამოაგზავნეთ კონტეინერი ლაბორატორიაში კვლევისთვის.

***მასალა სტაბილურია: 2 საათი 15-30 °C; 24 საათი 2-8 °C***

## შარდის შეგროვების წესი:

- შარდის შეგროვებამდე არ უნდა ჩაიტაროთ ჰიგიენური პროცედურა;
- მოხადეთ სახურავი შარდის კონტეინერს ისე, რომ არ შეეხოთ ხელით კონტეინერის შიდა ზედაპირს;
- შარდის პირველი ულუფა 10-20 მლ მოათავსეთ კონტეინერში;
- შარდის შეგროვების შემდეგ კონტეინერს მჭიდროდ დაახურეთ სახურავი;
- შარდი უნდა მოიტანოთ ლაბორატორიაში აღებიდან 2 საათის განმავლობაში;
- თუ 2 საათის განმავლობაში ვერ ახერხებთ შარდის მოტანას ლაბორატორიაში, შარდის შენახვა შესაძლებელია მაცივარში 2-8°C ტემპერატურაზე, 48 საათის განმავლობაში.